

საქართველოს  
დაპროზიხებინ დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY  
OF GEORGIA

2020 წლის მეორე კვარტლის ანგარიში

ივლისი, 2020 წელი

## სარჩევი

მიმოხილვა .....	3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები .....	3
პორტფელის მართვა .....	7
საინფორმაციო კამპანია .....	8
სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის მოსამზადებელი სამუშაოები .....	8
მართვის საინფორმაციო სისტემა.....	9

## მიმოხილვა

2020 წლის მეორე კვარტალში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ ჩაატარა საინფორმაციო კამპანია სადაზღვევო ზღვრის 5 000-დან 15 000 ლარამდე გაზრდის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით. კამპანია წარიმართა სატელევიზიო სარეკლამო რგოლის განთავსებისა და სხვა საინფორმაციო არხების საშუალებით. გადაწყვეტილება ძალაში 2020 წლის 1 ივლისს შედის.

გაგრძელდა მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის მიმართულებით. კერძოდ, მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი გაიგზავნა განსახილველად შესაბამის უწყებებთან. მხარეების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები აისახა საკანონმდებლო პაკეტში.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოში დასრულდა მუშაობა მართვის საინფორმაციო სისტემის დეველოპმენტზე და დაიწყო პროგრამის რეალურ გარემოში დანერგვისა და საპილოტე რეჟიმზე გაშვებისთვის აუცილებელი სამუშაოები.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

## კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2020 წლის აპრილის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 28 373 646 606 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 15 994 593 760 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 2 068 529 379 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 620 710 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2020 წლის მაისის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 29 128 849 572 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 15 959 466 2948 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 2 003 763 113 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 559 925 ლარით განისაზღვრა.

2020 წლის ივნისის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 29 615 019 661 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 15 805 259 896 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 2 026 453 247 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 593 187 ლარით განისაზღვრა.

2020 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 1.48%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2020 წლის მარტში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 8.91%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 0.88%-ით გაიზარდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2020 წლის მარტის თვეში დაფიქსირდა და შესაბამისად, 10.39% და 5.60% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.19	იან.20	თებ.20	მარ.20	აპრ.20	მაი.20	ივნ.20	საშ
<b>დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)</b>	27,24	27,21	27,31	29,74	28,37	29,13	29,62	
თვიური ცვლილება, %		-0,11	0,35	8,91	-4,60	2,66	1,67	1,48
<b>ფიზიკური პირების დეპოზიტები</b>	15,07	15,03	14,74	16,27	15,99	15,96	15,81	
თვიური ცვლილება, %		-0,29	-1,93	10,39	-1,68	-0,22	-0,97	0,88
<b>დაზღვეული დეპოზიტები</b>	2,02	1,91	1,90	2,01	2,07	2,00	2,03	
თვიური ცვლილება, %		-5,19	-0,41	5,60	2,85	-3,13	1,13	0,14

2020 წლის მეორე და მესამე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტლის ბოლოს, წინა კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა შესაბამისად, 0.43% და 2.84%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 0.37%-ით არის შემცირებული (ცხრილი #2).

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

	მარ.20	ივნ.20
<b>დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)</b>	29,74	29,62
კვარტალური ცვლილება, %	-	-0,43
<b>ფიზიკური პირის დეპოზიტები</b>	16,27	15,81
კვარტალური ცვლილება, %	-	-2,84
<b>დაზღვეული დეპოზიტები</b>	2,01	2,00
კვარტალური ცვლილება, %	-	-0,37

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2020 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტები 15%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 16%-ით გაიზარდა (ცხრილი #3).

*ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი*

	ივნ.19	ივნ.20
<b>დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)</b>	25,70	29,62
კვარტალური ცვლილება, %	-	15,23
<b>ფიზიკური პირის დეპოზიტები</b>	13,66	15,81
კვარტალური ცვლილება, %	-	15,74
<b>დაზღვეული დეპოზიტები</b>	1,75	2,03
კვარტალური ცვლილება, %	-	16,03

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,1%-ით არის გაზრდილი, აშშ დოლარში 15,49%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 8,4%-ით), ხოლო ევროში 16,4%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 10,3%-ით). #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში, აშშ დოლარში და ევროში, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	ივნ.19	ივნ.20	ივნ.20 *
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ლარი	3,47	4,03	4,03
ცვლილება, %		16,1	16,1
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	8,93	10,31	9,68
ცვლილება, %		15,49	8,4
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ევრო	1,26	1,46	1,39
ცვლილება, %		16,4	10,3

\* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2020 წლის იანვარი-ივნისის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (3.46%) აპრილში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 1 620 711 ლარი შეადგინა (ცხრილი #5).

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.19	იან.20	თებ.20	მარ.20	აპრ.20	მაი.20	ივნ.20	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	1,60	1,52	1,54	1,57	1,62	1,56	1,59	
თვიური ცვლილება, %		-4,78	1,12	1,92	3,46	-3,75	2,13	0,02

2020 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა წინა კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 3.25%-ით (ცხრილი #6), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 12.38%-ით აღემატება (ცხრილი #7).

ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	მარ.20	ივნ.20
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	4,62	4,77
კვარტალური ცვლილება, %	-	3,25

ცხრილი 7. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	ივნ.19	ივნ.20
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	4,11	4,62
კვარტალური ცვლილება, %	-	12,38

2020 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 95% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 12,82%. დაზღვეული დეპოზიტების 65% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 35% - უცხოურ ვალუტაში.

### პორტფელის მართვა

2020 წლის მეორე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 4 773 823 ლარი შეადგინა. ხოლო, კუპონის სახით მიღებულმა შემოსავალმა 345 025 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2020 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიან ქაღალდებში ინვესტიცია განახორციელა.

2020 წლის 25 მაისს ჩატარებულ აუქციონზე 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 482 596,22 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 486 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 9,300%-ია.

2020 წლის 2 ივნისს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 1 650 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 8,300%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 1 703 140,04 ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის საინვესტიციო პორტფელის მოცულობა 41 505 846 ლარია.

## საინფორმაციო კამპანია

დეპოზიტების დაზღვევის სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიახლის - სადაზღვევო ზღვრის 5 000-დან 15 000 ლარამდე გაზრდის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, 2020 წლის მეორე კვარტალში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია. შეიქმნა ანიმაციური ვიდეო-რგოლი, რომელიც განთავსდა ქვეყნის ყველა წამყვანი ტელევიზიის ეთერში. რგოლი, ასევე, გავრცელდა სააგენტოს ოფიციალური ვებ და „ფეისბუქის“ გვერდებით. მომზადდა საინფორმაციო ბროშურებისა და ბანერების დიზაინი, რომლებიც დაიბეჭდა და გავრცელდა კომერციულ ბანკებში. ამასთან, კომერციულმა ბანკებმა, სიახლის შესახებ, მომხმარებლებს ინტერნეტ-ბანკისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებითაც აცნობეს.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო კამპანიის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მხრიდან დაინტერესება დეპოზიტების დაზღვევის სისტემასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატა სააგენტოს სატელეფონო ხაზზე, ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელში მომართვებში. მოსახლეობაში სისტემის ცნობადობის და ინფორმირებულობის შეფასების მიზნით, დაგეგმილი და სააგენტოს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია სოციოლოგიური კვლევის ჩატარება. კვლევა სისტემაში იურიდიული პირების ჩართვისა და შესამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოების შემდეგ ჩატარდება.

## სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის მოსამზადებელი სამუშაოები

სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის მიზნით სააგენტომ შეიმუშავა და დაინტერესებულ მხარეებს განსახილველად წარუდგინა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. „დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში აისახება ყველა ის შესაბამისი შესწორება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას. საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კიდევ უფრო დაუახლოვდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და სისტემით უკვე უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ ფიზიკური პირების, არამედ იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა და საჭიროების შემთხვევაში ანაზღაურება.



გარდა იურიდიული პირების საკითხისა, კანონპროექტი ითვალისწინებს ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს, რომელთა აუცილებლობა გამოვლინდა პრაქტიკაში - კანონის ამოქმედების შემდეგ. ასე მაგალითად, დაიხვეწება სადაზღვევო შემთხვევის ცნების განმარტება, მკაფიოდ განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ფონდიდან ანაზღაურების საკითხი, დაიხვეწება და გამარტივდება რიგი პროცედურები, რომელიც პრაქტიკაში აღმოჩნდა ხელის შემშლელი, მათ შორის ბანკების მხრიდან ანგარიშგების წარმოდგენისას. გასწორდება ყველა ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობა, რომელმაც ასევე პრაქტიკაში, კანონის ამოქმედების შემდეგ იჩინა თავი. საერთაშორისო დონორების რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2023 წლამდე გადავადდება კანონის იმ მოთხოვნის აღსრულება, რომელიც თითოეული კომერციული ბანკისათვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრას გულისხმობს რისკების ანალიზის საფუძველზე.

ცვლილებების შედეგად გაიზრდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ეფექტიანობა, რამდენადაც სააგენტოს უჩნდება ახალი ინსტრუმენტები საინვესტიციო პოლიტიკის მეტი მოქნილობისთვის. ხოლო სადისკონტო ოპერაციების შესაძლებლობის გაჩენის შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება ფასიანი ქაღალდების სწრაფი განაღდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფონდის მიერ თავისი ძირითადი ფუნქციის - დეპოზიტორების სწრაფი და ეფექტიანი ანაზღაურების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის.

სააგენტომ გაითვალისწინა და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში ასახა დაინტერესებულ მხარეთა მიერ (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტი) წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები. ამ დროისთვის ცვლილებათა პაკეტი მზად არის საპარლამენტო განხილვებისთვის, რომელიც მიმდინარე წლის მესამე კვარტლისთვის იგეგმება.

## მართვის საინფორმაციო სისტემა

2020 წლის მეორე კვარტალში დასრულდა მართვის საინფორმაციო სისტემის ტესტირების სამუშაოები და მომზადდა პროგრამის რეალურ გარემოში დანერგვის და საპილოტე რეჟიმში გაშვებისთვის შესაბამისი ვერსია. მართვის საინფორმაციო სისტემა

წარმოადგენს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, რომლითაც მოხდება სისტემის ძირითადი პროცესების - ყოველთვიური ანგარიშგების, ყოველთვიური შენატანების და შესაბამისი ანალიტიკის წარმოების პროცესის და სადაზღვევო შემთხვევის მართვა.

სისტემის დანერგვასთან ერთად, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ჩატარდება ტრენინგები კომერციული ბანკებისთვის, რომლებიც ასევე, სისტემის მომხმარებლები არიან. ტრენინგები ონლაინ რეჟიმში წარიმართება და მასში ჩართული იქნება სააგენტოს ბიზნეს-ანალიტიკოსი და პროგრამაზე მომუშავე საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიის წარმომადგენელი.